

Nino Malutashvili

ნინო მალუტაშვილი

Ilia State University

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Essence and Function of Dialogue in Modern Georgian Poetry

("Putting out the potatoes" by Besik Kharanauli)

დიალოგის არსი და ფუნქცია თანამედროვე ქართულ ლექსში

(„ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღება“)

This text discusses the significance of dialogue in fiction, specifically analyzing its use in Besik Kharanauli's "Potato Removal." It explains that dialogue serves not just as everyday speech but as an integral part of literary texts, carrying specific artistic functions.

The analysis draws on Mikhail Bakhtin's literary theory, particularly his concepts of "Voice of the people" and internal dialogue. The text emphasizes that dialogue in fiction involves multiple participants: the author, characters, and readers, each bringing different perspectives.

The study focuses on Kharanauli's poem, which features two main dialogic interactions: between the lyrical hero and his mother, and between the hero and his teenage son. Notably, the hero often responds to his mother's spoken lines through inner speech, demonstrating a non-classical form of dialogue.

The research aims to examine these dialogue passages in detail, analyzing specific examples and investigating what factors determine the various dialogue forms present in the poem.

Keywords: Dialogue, lyrical hero, poem, characters, autor

საკვანძო სიტყვები: დიალოგი, ლირიკული გმირი, ლექსი, პერსონაჟები, ავტორი

დიალოგი, როგორც სიტყვაშიგების განსაკუთრებული ფორმა, საკმაოდ საგულისხმო მოვლენაა მხატვრულ ლიტერატურაში. როგორც წესი, პროზაულ ტექსტს ის დინამიკურობას სძენს. ლიტერატურათმცოდნეებისთვის ეს ფორმა საინტერესოა, არა როგორც ყოველდღიური ყოფითი მეტყველებისთვის დამახასიათებელი მოვლენა, არამედ, როგორც ტექსტის ორგანული ნაწილი, გარკვეული დატვირთვის მატარებელი. საყურადღებოა დიალოგის ფუნქცია ზოგადად, მხატვრულ შემოქმედებაში. წინამდებარე კვლევაში კი ხაზი გაესმება, თუ რა დატვირთვას ითავსებს, როგორაა აგებული და გამომხატული დიალოგი კონკრეტულ ლირიკულ ნაწარმოებში.

საანალიზოდ შერჩეული ტექსტია ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღება“. ვფიქრობთ, ერთია – დიალოგის კლასიკური ფუნქცია და მეორეა – მისი განსხვავებული ვარიანტი. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ დიალოგი პროზაში კომუნიკაციის ერთ-ერთი მრავალფეროვანი ფორმაა, რადგანაც უზოგადესი ჩამონათვალი რომ დასახელდეს, მასში მონაწილეობს: ავტორი, პერსონაჟი და მკითხველი. ცხადია, ეს უკანასკნელი თავის თავში მრავალგვარ სუბიექტს და შესაბამისად, მრავალგვარ აღქმასა და თვალსაზრისს გულისხმობს.

საინტერესოა, რომ დიალოგის ამგვარი ფორმების გარკვეულ ინვარიანტს შეიძლება შევხვდეთ თანამედროვე ქართულ ლირიკულ ტექსტში, კერძოდ, ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღებაში.“

ლექსში ლირიკული გმირისა და დედის დიალოგს ვხვდებით, თუმცა აღნიშნული დიალოგი კლასიკური სიტყვაშიგების ფორმას არ წარმოადგენს.

ლექსი მოიცავს დედის მიერ წარმოთქმულ რამდენიმე რეპლიკას, რაზეც ლირიკული გმირი, უმეტესად, შინაგანი მეტყველებით სცემს პასუხს. ასევე, ვხვდებით ერთგვარ დიალოგს ლირიკული გმირისა და მის მოზარდ შვილს შორის.

სწორედ, ამ მონაკვეთების განხილვა, კონკრეტული მაგალითების მოძიება-დასახელება და ანალიზი წინამდებარე კვლევის მიზანი. საინტერესოა, იმ ფაქტზე დაკვირვებაც, თუ რა განაპირობებს დასახელებულ ლექსში დიალოგის ამგვარი ვარიანტების არსებობას.

მხატვრულ ტექსტებში, ხშირად, სწორედ დიალოგია პერსონაჟის ხასიათის შექმნისთვის საჭირო ლიტერატურული ხერხი.

შეუძლებელია, რომ დიალოგთან მიმართებით ყურდალება არ მიექცეს რამდენიმე მკვლევარის შეხედულებას უშუალოდ დიალოგის არსსა და ლიტერატურაში მის ფუნქციასთან დაკავშირებით.

ამ მხრივ, საგულისხმოა მიხაილ ბახტინის „დიალოგურ კრიტიკა“. ბახტინის შეხედულებით, რომანში დიალოგის საშუალებით გამოიხატება ე.წ. „ხალხის ხმა“ და ამავე დროს თავადვე გამოყოფს დიალოგის განსხვავებულ ფორმას – შინაგან დიალოგს (ბახტინი, 1994, გვ. 94-100).

კარნავალიზებულ ლიტერატურაზე მსჯელობისას, ის გამოკვეთს სოლილოქვიუმის ჟანრს, რომელიც, მისივე თქმით, ე.წ. შინაგან დიალოგს, მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარ თავთან დიალოგს ეფუძნება (ბახტინი, 2010, გვ. 241).

ბახტინი ასევე განიხილავს დიალოგის ფილოსოფიურ და ლინგვისტურ ასპექტებს, მისი მოსაზრებით, დიალოგი მხოლოდ საუბრის ფორმა არ არის, არამედ – აზროვნებისა და კომუნიკაციის არსებითი პრინციპი. (ბახტინი, 1994, გვ.96)

საერთოდ, მისი დიალოგური კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი სწორედ, ტექსტის მრავალხმოვან და დიალოგურ ბუნებას უსვამს ხაზს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ჭეშმარიტების ძიების დიალოგური საშუალება უპირისპირდებოდა, როგორც ოფიციალურ მონოლოგიზმს, რომელიც მზა ჭეშმარიტების ფლობას იჩემებს, ასევე მიაბიტიურად თავდაჯერებულ ადამიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მათ ნამდვილად იციან რაღაც, რომ ისინი გარკვეულ ჭეშმარიტებას ფლობენ. ჭეშმარიტება არ იბადება და არ მწიფდება ცალკე ადამიანის გონებაში, იგი ადამიანთა შორის იბადება, რომლებიც დიალოგური ურთიერთობის პროცესში ერთად ეძებენ ჭეშმარიტებას“ („სოკრატეს დიალოგი“. ბახტინი, 2010, გვ. 242).

იური ლოტმანი დიალოგს განიხილავს, როგორც კულტურული კომუნიკაციის ფუნდამენტურ მექანიზმს, დიალოგს მოიაზრებს არამხოლოდ ენობრივ ურთიერთმიმართებად, არამედ კულტურათა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ საფუძვლად. დიალოგი მისთვის სხვადასხვა სემიოტიკური სისტემის (კოდის) ურთიერთგაცვლას, ხოლო ტექსტი განიხილება დიალოგური ურთიერთობის მუდმივ პროცესად, სადაც აზრი იქმნება სწორედ კომუნიკაციის პირობებში (1977, გვ. 215).

დიალოგზე მსჯელობისას საინტერესოა ჟაკ დერიდას შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც დიალოგი არ არის მხოლოდ პირისპირ კომუნიკაცია, არამედ ტექსტების, კონტექსტებისა და აზრის მუდმივი გადაკვეთა (1976).

წინამდებარე ნაშრომში საანალიზოდ შერჩეული ტექსტი საინტერესოა იმდენად რამდენადაც მასში, როგორც უკვე აღინიშნა, დიალოგის გარკვეულწილად განსხვავებულ ვარიანტს ვხვდებით.

ლექსში იკვეთება დიალოგის ორი ვერსია, ერთი მხრივ, ლირიკული გმირისა და დედის, ხოლო მეორე მხრივ, ლირიკული გმირისა და შვილის დიალოგი.

არცერთი მათგანი არ არის კლასიკური ფორმის დიალოგი.

ლექსის დასაწყისშივე ჩანს დედის რეპლიკა, რომელსაც უშუალოდ დედა კი არ ამბობს, არამედ შვილი ისე ახმოვანებს, თითქოს დედამ თქვა, ხოლო პასუხი უკვე შინაგანი დიალოგის ერთგვარი ფორმაა:

„– ხვალე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ! –
მითხარი შენ
და საწოლისკენ სკამი მიიწიე,
რომელზეც შემდეგ,
შუქს რომ ჩააქრობდი,
ტანსაცმელი უნდა დაგეწყო.
მე კედლისკენ გადავბრუნდი.
ამით ისიც გაგრძნობინე,
რომ გავიგე შენი ნათქვამი
და ისიც გითხარ, რომ ხვალინდელ დღეს
სულ სხვა რამეებს ვაპირებდი...“ (ხარანაული, 2012)

დედის რეპლიკა – „ხვალე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ“, როგორც უკვე ითქვა, შვილმა გაახმოვანა და შვილის პასუხი ასეთივე რეპლიკა კი არ არის, არამედ მხოლოდ კედლისკენ გადაბრუნება და ის, რაც პასუხად გაიფიქრა და დედას უთქმელად აგრძნობინა. ეს რომ დიალოგის კლასიკური ფორმა ყოფილიყო, ლირიკული გმირი, ალბათ იტყოდა – „სხვა გეგმები მაქვს,“ მაგრამ ლირიკული ნაწარმოების იდეას, სწორედ ის გამოკვეთს, რომ დედასა და შვილს შორის კლასიკური დიალოგის აწყობა გართულებული და თითქმის შეუძლებელია, ამ შემთხვევაში პასუხები კი არ გამოითქმის, არამედ იგულისხმება.

„_სხვაც ათასი საქმეებია,
ამინდებს უნდა დავემუროთ,
წვიმები რომ დაიწყოს მიწაში ჩაგვილპება.
და ძილის წინ კოცნის მსგავსად
და თმაზე ხელის გადასმასავით
ხმადაბლა მითხარ:
_ზამთარში ხომ კარგია ხოლმე
ნაცარში გახუხული!“ (ხარანაული, 2012)

მოცემულ მონაკვეთში ჩანს, რომ ავტორი თავადვე უსვამს ხაზს განსხვავებული დიალოგის ფუნქციას და იმასაც, რომ დიალოგი არამხოლოდ სიტყვა-მიგების, არამედ აზროვნების ფორმაა, კომუნიკაციის არსებითი პრინციპი. დედის სიტყვების მიღმა იგულისხმება სიტბო, რომელიც უნდა გამოეხატა და არ/ვერ გამოეხატა, დედამ სულ სხვა შინაარსის ფრაზა თქვა „ძილის წინ კოცნისა“ და „თავზე ხელის გადასმის“ მაგიერ.

მხატვრულ ნაწარმოებში დიალოგის ფილოსოფიურ ასპექტებზე მსჯელობისას, უნდა ითქვას, რომ დიალოგი არამხოლოდ ლიტერატურული პორტრეტის, ან ხასიათის შექმნის, ანდა ტექსტისთვის დინამიკურობის მინიჭების მეთოდია, არამედ ნაწარმოების იდეის გამოკვეთის ერთ-ერთ ხერხადაც შეიძლება განვიხილოთ.

ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღების“ იდეა სწორედ დედა-შვილს შორის ვერშემდგარი დიალოგია, სადაც კარტოფილის ამოღება, როგორც პროცესი, დედისა და შვილის ერთადერთ საერთო საქმედ და კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებად იქცა:

„როცა დედაჩემი მიწას აცლის კარტოფილს, ანდა
სადმე დამალულს ეძებს თავის გრმნულ თითებით,
მე, ბარის ტარს დაყუდებული,
ვუყვები რამეს,
ხოლო როდესაც
ახალ ორმოს თხრას შევუდგები,
ის მეტყვის რამეს...“ (ხარანაული, 2012)

ეს პროცესი აღწერილია, როგორც ტკბობა, როგორც დედაშვილური ურთიერთობის უწყვე-
ტობისა და ყველაზე ძვირფასი, უხილავი კავშირის სიმბოლო:

„და ასე ვართ ოთხ-ხუთ საათს,
მზის ქვეშ ჩვენ ვართ ორნი ხოლმე
და სხვა არავინ,
საჩოთიროს არაფერ ვიტყვით,
რომ გუნება არ გავიფუჭოთ.
რომ დავტკბეთ ასე,
ვილივილივით მზეში, ჰაერში,
ამოვთხაროთ ჩვენი წარსული,
ამოვყაროთ ოქროები,
პირი ვუჩინოთ...“ (ხარანაული, 2012)

თუმცა მეორე მხრივ, აქვე თავს იჩენს, „კრიტიკული მომენტები“, ერთგვარი გაუცხოება დე-
დასა და შვილს შორის –

„მაგრამ არის ხოლმე კრიტიკული მომენტებიც,
როდესაც,
მაგალითად,
დედაჩემის წერილს მივიღებ,
რომელშიც იგი,
ჭეშმარიტი პედაგოგის ურყევი ტონით
მწერს – ჩამოდიო!
მე კი ამ დროს
სულ სხვა საქმეები მაქვს გამოჩენილი,
ანდა უბრალოდ,
სხვაგან წასვლა მირჩევნია“... (ხარანაული, 2012)

კარტოფილის ამოღებისას შექმნილ ერთგვარ იდილიას უირისპირდება შვილის ფრაზები –
„ხვალინდელ დღეს სულ სხვა რამეებს ვაპირებდი:“, „ანდა უბრალოდ სხვაგან წასვლა მირჩევნია“.
შესაბამისად, ლექსში კარგად ჩანს დედაშვილური ურთიერთობის წინააღმდეგობები, რომელთა
ახსნაც რთულია.

„შენ ალბათ კიდევ ბევრის თქმა გსურდა,
შენ მოფერებაც გინდოდა ჩემი,
ასე კი არა,
კედლისკენ გადაბრუნებულს
პატარა ბავშვივით რომ გამეხუმრე...“

**მაგრამ ჩვენ ჩუმად შევთანხმდით
ყველაფერზე.**“ (ხარანაული, 2012)

ლექსში დიალოგის ვერბალიზებულ/გამოთქმულ/გახმოვანებულ ნაწილს თუ დავაკვირდებით, ბევრი არაფერი თქმულა, ხოლო ლირიკული გმირის შინაგანი მონოლოგით თუ ვიმსჯელებთ, დედააზრი სწორედ ნაგულისხმევ და არა ნათქვამ, პასუხებში უნდა ვეძებოთ.

იდეურ ნაწილზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლექსში ლირიკული გმირის მხრიდან ერთგვარი გულისწვეტის განწყობაც ჩანს იმის გამო, რომ დიალოგი ვერ შედგა და მეორე მხრივ, იკვეთება ის თვალსაზრისიც, რომ დედაშვილობა, როგორც ფენომენი, ვერავითარი დიალოგით ვერ გამოითქმება. საგულოსხმოა, რომ სწორედ აზრთა ასეთი წინააღმდეგობრიობა განაპირობებს აღნიშნული ლირიკული ნაწარმოების ფორმას, დიალოგის ასეთ ვარიანტს.

„მე დავლიე ერთი-ორი ჭიქა ჩვენი არყისა
და დედაჩემს ვუმტკიცებდი,
რომ ყველაფერი კარგად მიმდის,
რომ გაზაფხულზე ჩამოვალ და
კარტოფილს დავთესთ.
ის ასეთი პატარა და თითქმის მოხუცი
მისმენდა მე, ჩემს ალთაბალთას,
**რაღაცის თქმაც დააპირა – დიდი რაღაცის,
მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა,
ის რაღაცა ნერწყვს ჩააყოლა...**
**არ შეუძლია მას იოლი ლაპარაკი არც მიწაზე,
არც ცხოვრებაზე,
არც ზამთარზე და არც გაზაფხულზე,
არც პურზე და არც კარტოფილზე,
ყველაფერი ძალზე რთულია,
ძალზე რთულია და ძალზე ძნელი.“**

(ხარანაული, 2012)

დედაშვილური კავშირი, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე მყარი კავშირია სამყაროში, რომელიც თავის თავში მოიცავს უდიდეს წინააღმდეგობებსაც, ერთი მხრივ მარადიულ კავშირს და მეორე მხრივ, დედასთან განშორების, საკუთარი გზის დამოუკიდებლად ძიების საკითხებს.

ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, ჩანს, რომ „კარტოფილის ამოღებაში“ გამოკვეთილი საკითხები, მარტივად შეიძლება განზოგადდეს და დიალოგის ეს არატრადიციული ფორმაც, რომელსაც ავტორი იყენებს, ზოგად ჭრილში განვიხილოთ.

როგორ აღინიშნა, ლექსის ერთ მონაკვეთში ასევე იკვეთება ლირიკული გმირისა და შვილის დიალოგიც, რომელიც ასევე არ არის კლასიკური ფორმის.

„ნახევარ საათში
ჩემი ბიჭი უკვე გაიტყუეს იქაურმა ამხანაგებმა.
ვიდრე ეზოდან გავიდოდა – შემოგვხედა, –
– რა ვქნა, წავიდეო?!
ჩვენ იგი გავუშვიტ... თხუთმეტი წლისაა,
ისიც კარგია,
რომ სინდისმა შეაწუხა და ყოყმანი დაეტყო.“

(ხარანაული, 2012)

მოცემულ მონაკვეთში გვხვდება რეპლიკა/შეკითხვა, ხოლო პასუხი არ ჩანს, მხოლოდ შედეგია ნაჩვენები, რომელიც მკითხველს ნათლად მიახვედრებს, რა უპასუხა მშობელმა. აქაც სულ რამდენიმე ფრაზით იკვეთება მშობლისა და შვილის ურთიერთობის საკითხი, მშობლისაგან თავის დაღწევის ერთგვარი სურვილი. „ისიც კარგია, რომ სინდისმა შეაწუხა და ყოყმანი დაეტყო“ – ლირიკული გმირისთვის ნათელია რა ურჩევნია შვილს, რადგან რამდენიმე მონაკვეთში თავად ამბობს, რომ დედასთან ჩასვლას, იქნებ „სხვაგან წასვლა ურჩევნია“

მოცემული ლირიკულ ნაწარმოებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დიალოგის არსსა და ფუნქციაზე გამოთქმული თეორიული მოსაზრებები თვალსაჩინოა.

საანალიზოდ შერჩეულ ტექსტზე დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ ლირიკული ტექსტის ფარგლებშიც თამამად შეიძლება მჯელობა დიალოგის ფილოსოფიურ ასპექტებზე, რომელზე დაკვირვებაც იდეური ანალიზისას გარკვეულ მნიშვნელობას იძენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია (II ტომი), (2010). დიალოგური კრიტიკა, მიხაილ ბახტინი, კარნავალიზებული ლიტერატურა, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ხარანაული ბ (2012), ლექსები, პოემები (1954-2005), თბილისი: „ინტელექტი“.
- The Bakhtin Reader (1994), The Dialogic Idea as Novelistic Image, New York: Oxford University Press.
- Derrida J. 1976a [1967], Of Grammatology, London: The John Hopkins University Press.
- Lotman J. 1977a; [1967] Problems in the typology of culture. Soviet Semiotics: An anthology. Baltimore and London: The John Hopkins University.

References:

- Derrida J. 1976a [1967], Of Grammatology, London: The John Hopkins University Press.
- Kharanauli, B. (2012). Leksebi, p'oemebi (1954-2005). [Poems, Poems (1954-2005)]. Tbilisi: "int'elekt'I".
- Lit'erat'uris teoriis krest'omatia (II t'omi). (2010). Dialoguri k'rit'ik'a, Mikhail Bakht'ini. K'arnavalizebuli lit'erat'ura. [Literary Theory Chrestomathy (Volume II). Dialogical Criticism, Mikhail Bakhtin, Carnivalized Literature]. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba.
- Lotman J. 1977a; [1967] Problems in the typology of culture. Soviet Semiotics: An anthology. Baltimore and London: The John Hopkins University.
- The Bakhtin Reader (1994), The Dialogic Idea as Novelistic Image, New York: Oxford University Press.